ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2305 ორშაბათი, 27 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2305

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

№ 12.

ქართული თეატრი

ტელეფონი № 617

სამშაბათს, 28 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ჰ ა მ ლ ე ტ ი

ტრაგ. 5 მოქმ. შექსპირისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გამყრელიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ორშაბათს, 27 ოქტომბერს, 1903 წ., მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ტფ. საზოგადოების სასარგებლოდ, ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება

რ ო მ ე ო დ ა ჯ უ ლ ი ე ტ ა

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა გუნოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი არციბაშევა, ჩიჟოვა და სკორუპსკაია; ბ-ნნი: სელიავინი, ფიგნერი, ევლახოვი, შმაკოვი, სანგურსკი, კლიუზნერი, რჟანიკვი და გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 28 ოქტომბ. —„სევილიის დალაქი“, მუს. როსინისა; ოთხშაბათს —„ებრაელის ქალი“ (6).

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქაროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ჩიჩინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაქისა. (წლ.)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (უ. 0—2)

საზღვარ-გარედ

იაპონურ გაზეთების აზრი მანჯურიის საქმეზე

მანჯურიის თაობაზე რუსეთსა და იაპონიის მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული. ჯერ ეს მოლაპარაკება არ დასრულებულიყო, რომ რუსეთმა იმავე საქმეზე პირდაპირ ჩინეთთან დაიწყო მოლაპარაკება. ეს ძლიერ ეწყინათ იაპონელებს. ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ იაპონურმა პრესამ ამაზე დიდი პროტესტი გამოაცხადა და იაპონიის მთავრობის „დუნე, რბილი პოლიტიკა“ სასტიკად დაჰგმო. „ამომავალ მზის“ გაზეთები დღესაც არ ჩუმდებიან და თავიანთ სამინისტროს დაჟინებით ურჩევენ, რუსეთს ომი გამოუცხადეთო.

გაზ. „ძი-ძი“ ამბობს: რუსეთის ახალი პირობა მანჯურიის თაობაზე ჩინეთისა და სხვა სახელმწიფოების უფლებას არღვევს, საერთაშორისო ზრდილობას ეწინააღმდეგება და იაპონელებს აღელებსო.

„ნიპონ“-ი ბეჯითად ამტკიცებს, რუსეთის ახალი მოთხოვნილება დიდად საწყენი და სათაკილოა იაპონიისათვის და ომის გამოცხადებასთან ბარი-ბარსაო. ჩვენმა მთავრობამ მანჯურიის თაობაზე პირდაპირ რუსეთთან გამართა მოლაპარაკება. რუსეთი ამ მოლაპარაკებას არ დასჯერდა და ცალკე კიდევ პირდაპირ ჩინეთს დაუწყო ლაპარაკი. განა რუსეთმა არ იცოდა, რომ იაპონია ამას არ მოითმენდა? რუსეთი თითქო ეუბნება იაპონიას: „თქვენ რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ მანჯურიის საქმეზე, მაგრამ, სანამ ჩინეთთან საქმეს არ გავათავებ, თქვენ ყურსაც არ დაგიგდებთო!“ ჯერ ასე არავინ გაკადნიერებულა იაპონიასთან! ჯერ ასეთი სირცხვილი არავის უჭმევია ჩვენის დიპლომატიისათვის! მთავრობამა და ჩვენმა ხალხმა უსათუოდ ამ სირცხვილისაგან უნდა იხსნას იაპონია...

„ტოკიო ასაჰი“-ს უკვირს, რომ რუსეთი ასე გაბედულად და მოურიდებლად იქცევა და თავის პირობას—მანჯურიიდან ჯარის გაყვანას—არ ასრულებს. გაზეთი ამბობს: ნამცეცი ეჭვი არა გვაქვს, რომ ჩინეთი რუსეთის ახალ მოთხოვნილებას უარ-ჰყოფს და იაპონიაც პროტესტს გამოაცხადებს ამ საქმის თაობაზე. ჩვენი მთავრობის ქცევა სწორედ გასაკვირველია. რუსეთმა პირდაპირ ჩინეთთან გამართა მოლაპარაკება და ჩვენი მთავრობა კი ამაზე ხმასაც არ იღებს!

„ოსაკა მაინიში“ გაბედულად თხოულობს ომის გამოცხადებას. გაზეთი სწერს: რას ერიდება ჩვენი მთავრობა? ზოგს ეშინიან, ვაი თუ ომი დიდხანს გაჭიანურდესო. ეს ტყუილი შიშია; ერთი-ორი დიდი ბრძოლა და რუსეთის ჯარს ხელად დავამარცხებთ, ომიც მალე ვათავდება. დამარცხებული რუსეთი ხელად მოიკაკვავს თითსა; მანჯურიის შუა გულისაკენ გალაშქრება და იმის სატახტო ქალაქის აღებაც აღარ დაგვჭირდება. რუსეთი ისეთ ეკონომიურ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, რომ ომს დიდხანს ვერ გააჭიანურებს...

„ტოკიო ნიში-ნიში“ სულ სხვა თვალით უყურებს საქმეს. გაზეთი სწერს: „იაპონიამა და სხვა დიდმა სახელმწიფოებმა რუსეთს მანჯურიიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვეს. რუსეთი კიდევ ჩინეთს ატანს ძალას და ახალ ვალს სთხოვს. ამ გზით მანჯურიის საქმის გადაწყვეტა არ შეიძლება. რუსეთი და იაპონია ჯერ უნდა შეთანხმდნენ ამ საქმეზე, ჯერ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები უნდა მოაწყონ მანჯურიაში და მერე ჯარის გაყვანის თაობაზე მორიგებაც სულ ადვილი საქმე იქნება“.

გლადსტონის ახალი ბიოგრაფია

ჩვენის ლონდონელ კორესპონდენტის წერილიდან გეცოდინებათ, რომ ჯონ მორლეიმ გლადსტონის ბიოგრაფია გამოსცა. გაზეთები იუწყებიან: გლადსტონის ახალი ბიოგრაფია ინგლისელებმა სწორედ დაიტაცესო. პირველი გამოცემა—125 ათასი ცალი წიგნი—6 დღეში გაიყიდა. ჯერ წიგნი არ გამოსულიყო, რომ გამომცემელს 50 ათასი ცალი გაყიდული ჰქონოდა. რა დღესაც წიგნი გამოვიდა, გლადსტონის ბიოგრაფია 20 ვაგონით, წონით 80 ათასი კილო, ლონდონის სხვა-და-სხვა წიგნის მაღაზიებში გაჰგზავნეს. მორლეიმ შრომის ფასად 10 ათასი გირვ. სტერლინგი მიიღო; გამომცემელმა სულ 2,750,000 მანეთის წიგნი გაჰყიდა. ასე ჰყვარებიათ ინგლისელებს „დიდებული მოხუცი!“

◆

ახალი ამბავი

◆ ნოემბრის 4-ს მოსკოვში დაიწყება რუსეთის **თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლების კრება.** კრებაში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევიათ ტფ. გუბერნიის მარშალიც თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. როგორც გადმოგვცეს, თავ. მელიქიშვილი კრებას წარუდგენს მოხსენებას ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ.

◆ მომავალ ნოემბერში მოხდება საზოგადო კრება **სახალხო კითხვათა** ტფილისის საზოგადოებისა. საზოგადოების გამგეობა სთხოვს იმათ, ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაეწეროს, 14 ნოემბრამდე წერილობითი განცხადება გაუგზავნოს გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ა. ხუდადოვს (ნიკოლოოზის ქუჩა, № 65). განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს სახელი, მამის სახელი, გვარი და ადრესი მთხოვნელისა.

◆ „ჩერნ. ვესტნიკ“-ი იუწყება: „ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრი **ი. ა. ივანოვი** დამტკიცებულ იქმნა ბათუმის ქალაქის მოურავის მოადგილედ“.

◆ ხვალისათვის, როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, სამხედრო ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული ყოფილა **საქმე ჯავრიშვილის მოკვლის** შესახებ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ჯავრიშვილი ერთმა ოფიცერმა მოჰკლა შუადღისას, გოლოვინის პროსპექტზე.

◆ ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო გამგეობას განუზრახავს თიანეთის მაზრაში **ახალ გზის გაყვანა.** ეს გზა დაიწყება თიანეთიდან, გაივლის მაღაროს, ბარისახოს და მივა შატილს. სიგრძე გზისა 160 ვერსი იქნება. გამგეობა ჰფიქრობს აგრეთვე რამდენისამე ახალ გზის გაყვანას გორისა და ბორჩალოს მაზრებში.

◆

რუსეთის ქრონიკა

◆ უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში პეტერბურგში 50-მდე საჩაიო და სასადილო დაუარსებიათ სხვა-და-სხვა გასართობებით. ამით ჰფიქრობენ, ხალხი გადაარჩინონ ტრაქტირებში სიარულს, სადაც მაგარი სასმელები ისყიდება.

◆ ფინანსთა სამინისტრო ადგენს პროექტს, იმ სამრეწველო დაწესებულებებში, სადაც მომუშავეთა უმეტესობას ქალები შეადგენენ, დააარსონ თანამდებობა საქარხნო ინსპექტორ-ქალებისა. ამ აზრით, სავაჭრო სამრეწველო განყოფილებას მოუთხოვია პოლონეთის საქარხნო ინსპექტორთაგან, აცნობონ, თუ რამდენი ქალი მუშაობს ქარხნებში და სამრეწველო დაწესებულებებში.

◆ 17 ოქტომბერს საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას საპატიო წევრად აურჩევია ცნობილი პუბლიცისტი კ. კ. არსენიევი. ამავე სხდომაზე წარუდგენიათ წინადადება ლ. ნ. ტოლსტოის საპატიო წევრად მიღების შესახებ.

◆ როგორც როსტოვიდან იუწყებიან, „ნოვოე ვრემია“-ში მოთავსებული დეპეშა, ვითომ ვლადიკავკავის რკინის გზის სახელოსნოები როსტოვიდან ვლადიკავკავში გადაჰქონდეთ, ტყუილი ყოფილა. პირიქით, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ისმის, როსტოვში რკინის გზის მეორე ახალ სახელოსნოების აგებას აპირობენ. დეპეშა „ნოვოე ვრემიას“ შეთხზული ყოფილა და ძლიერ ცუდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია მუშების საცხოვრებელ რაიონში.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი არსებულ საქალაქო დებულებაში ზოგიერთ წესის შეცვლისა. უმეტესად პროექტი ეხება ქალაქის საბჭოს დადგენილებათა დამტკიცების წეს-რიგს. საბჭოს დადგენილებანი, რომელნიც შეეხებიან გადასახადების დაწესებას ყოველგვარ გზებითა, ნავთ-სადგურებითა, გემების სადგომ ადგილებით სარგებლობისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრის ნაცვლად დაამტკიცებს გუბერნატორი ფინანსთა და გზათა სამინისტრო წარმომადგენლებთან შეთანხმებით. გუბერნატორს ექვემდებარება აგრეთვე განსაზღვრა გადასახადებისა ცხენებსა, ეტლებსა, ძაღლებსა ველოსიპედებსა და ავტომობილებზე.

წერილი სოხუმიდან

სვანების თავგადასავალი

ადგილის სიძვირემ და სიმწირემ, კალმით აუწერელმა და ენით გამოუთქმელმა გაჭირვება-სიასაწყლემ „სალის კლდის“ და მამა-პაპათა სალოცავების მოყვარე სვანებსაც კი გადააწყვეტინა აურა და სხვაგან, შორს ძებნა მამულისა, ძებნა ბევრის სახნავ-სათესისა და საძოვრისა კი არა,—სულ მცირედისა, რომ სვანის არა-რთული, მეტად ელემენტარული და მოკრძალებული ცხოვრებური მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. სვანებს დასავლეთ საქართველოში მარტო ზამთრობით ვხედავდით ჩამოსულებს თავიანთ მიუვალ მთებიდან, დროებით, რამდენისამე თვის განმავლობაში სამუშაოს და ორიოდ გროშის საშოვრად. ამ ვაინაჩრობით და სისხლის ღვრით ნაშოვნ ფულით გაზაფხულზე ბრუნდებოდნენ ისევ სამშობლო კუთხეში და მეორე ზამთრის დადგომას ელოდებოდნენ, რომ მხარზე ბარებ-შედებულნი ისევ ჩამოსულიყვნენ ბარად (გურია-სამეგრელო-აფხაზეთში) სამუშაოს საძებნელად (მიწის სათხრელად).

მაგრამ, ეტყობათ, ასეთმა ცოდვილმაც ვერა უშველა სვანებს, ეტყობა, გაჭირვების ფიალა პირთამდე მოიყარა, რომ გადაწყვიტეს სულ დაენებებინათ სამშობლოს სოფლებისათვის თავი ზამთარშიაც და ზაფხულშიაც. ამ ორის წლის წინად ამგვარად აყრილი სვანები პირველად შემოეხიზნენ სოხუმის ოლქს. მაგრამ შემოხიზნე-

ბაც გახლავთ და შემოხიზნებაც. უეჭველია აურილ სვანებს იმედი ჰქონდათ, რაკი აფხაზეთში გადავალთ, მიწა გვექნება, ადმინისტრაცია ხელს შეგვიწყობს, ჩვენც გავირჯებით, მივდგებ-მოვდგებით, ღმერთიც შეგვეწევა და განვლილი ჭირი ლხინად გადაგვექცევაო.

ასეთის იმედით აღფრთოვანებული იყო ოცდაერთი კომლი სვანებისა, რომელნიც ამ ორის წლის წინად სოფ. ეცერიდან (სადადიშქელიანო სვანეთშია) გადმოსახლდნენ აფხაზეთის სოფ. პტიშში (კოდორის ხეობაში, ჩხალთის ზემოთ). როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთში სახაზინო მიწებზე მხოლოდ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ გლეხთა აქვთ ნება დაბინავებისა. სვანებმაც კარგად იცოდნენ, რომ მათ მიწას უსასყიდლოდ არავინ მისცემდა. და რაკი ეს იცოდნენ, სახელმწიფო ქონებათა უწყების წარმომადგენელისაგან (მეტყევისაგან) ერთის წლის ვადით იჯარით აიღეს მიწა დესეტინა მანეთად. მიწა აიღეს, ცოლშვილი ჩამოიყვანეს და შეუდგნენ დასახლკარებას. თან გულუბრყვილოდ იფიქრეს, მართალია, ერთის წლით ავიღეთ, მაგრამ რაკი სახელმწიფოა მიწა და ჩვენც ხელმწიფის ხალხნი ვართ, ერთის წლის შემდეგაც შეგვიძლია გაჩერება და ცხოვრებაო. მართალია, საკუთრებად და უსასყიდლოდ ვერ ვიშოვით მიწას, მაგრამ რა გაეწყობა, ხელმწიფესაც სამსახური უნდა, იჯარის ფულს გადავიხდით და მაშინ ხელს არავინ გვახლებსო.

ახალ მოსულებს პირველ წელიწადს მოსავალი (სიმინდი) კარგი მოუვიდათ აფხაზეთის ნოყიერ მიწაზე, გაიჩინეს საქონელი, მიდგნენ-მოდგნენ, ისე სამუშაოც იშოვეს და გამჩენს მადლობა შესწირეს, რომ ახალ სამშობლოში ბედმა გაუღიმათ. მაგრამ ერთი წელიწადი დიდი დრო არ გახლავთ. მალე გაირბინა თერთმეტმა თვემ. იჯარის ვადა გავიდა. მოიჯარადრენი არხეინად ელიან იჯარის პირობის განახლებას. მაგრამ ამის მაგიერ ოლქის უფროსი უცხადებს: უნდა აიბარგოთ აქედან, რადგან თქვენ იჯარითაც ვერ დაგაყენებთ აქაო. გულებდახეთქილმა სვანებმა შესჩივლეს: რა ვქნათ, ბატონო, სვანეთიდან იმიტომ გამოვიქეცით, რომ სულს იქით არაფერი გაგვაჩნდა; აქაურობას თავი შევაფარეთ, რომ შიმშილით სული არ ამოგვხდეს. მართალია, მიწა სახელმწიფო გახლავთ, მაგრამ ჩვენც ხომ ხელმწიფის მსახურნი ვართ, იჯარასაც გადავიხდით და სხვაფრივაც, რაც კი მოგვეთხოვება, უარს არაზე ვიტყვითო. მიხედეთ თქვენს ღმერთს, ამდენი ტანჯვა-წვალება გვაკმარეთ და ცეცხლზე წყალს ნუ დაგვისხამთო. მაგრამ მათმა თხოვნა-ვედრებამ და ჩივილმა გული ვერავის მოულბო. პირდაპირ გამოუცხადეს: თუ ნებით არ წასულხართ, ძალით აგყრითო. სვანებიც გაიძახიან, კანონის წინააღმდეგ ღმერთმა ნურა ჩაგვადენინოს, მაგრამ არა გვგონი იმავე კანონმა ისედაც დაჩაგრულნი უარესად დაგვჩაგროსო. უნდა ვეცადოთ, ჩვენი გაჭირვება უმაღლეს მთავრობას შევატყობინოთ, რომ ლუკმა-პური არ გაგვეწყვიტოსო.

აი, უფერ-უმარილო სურათი ჩვენებურ უმამულო გლეხებისა, რომლებიც აფხაზეთში ეძებენ ხსნას. ეს გლეხები დარჩენილნი არიან თავიანთ თავის ანაბარა, ყველასაგან მივიწყებულნი, ყველასაგან დევნილნი. არსადაა მათი ქომაგი, მათი პატრონი, გზის მაჩვენებელი და მეშველი. რამდენჯერ თქმულა და ახლაც ვიმეორებთ, დროა ჩვენმა თავად-აზნაურობამ შესაფერი შუამდგომლობა აღძრას ვისდამიც ჯერ არს, ჩვენის ხალხის წყლულს ეწამლოს, ხსნა მიეცეს როგორმე. ადამიანური და კანონიერი უფლება ცხოვრებისა და ლუკმა-პურის მოპოვებისა, გვგონია, არ წაგვერთმევია და ამის შესახებ ხმის ამოღება არავის დანაშაულობად არ ჩაგვეთვლება. ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ბავშვმა არ იტირა, ისე დედა ძუძუს არ აწოვებს. მართალია, ტირილი დიდი არაფერი ვაჟკაცობაა, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც გიჭირდეს, ისე გიძირდესო, ხომ გაგვიგონია.

თ. ს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ოქტომბერი

კიევი. დღეს, ჩაიკოვსკის გარდაცვალების ათის წლის თავზე, ვლადიმირის ტაძარში წირვა გადაიხადეს. ჩაიკოვსკის ლიტურგიას გალობდა ხორო, ასამდე არტისტი და არტისტი-ქალი საოპერო თეატრისა.

ვარშავა. ჩაიკოვსკის გარდაცვალების ათის წლის თავზე ტაძარში წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. ჩაიკოვსკის ლიტურგია იგალობეს. საღამოთი საქალაქო გამგეობის დარბაზში კონცერტი გაიმართა და სულ განსვენებულ კომპოზიტორის ნაწარმოები შეასრულეს.

ხარკოვი. სამხრეთ-რუსეთის მადნის მრეწველთა კრება გაიხსნა; კრების თავმჯდომარედ ზელენცოვია.

კელცი. საგუბერნიო საქველმოქმედო კომიტეტმა 36 ათასი მანეთი დანიშნა წყალ-დიდობისა და სეტყვისაგან დაზარალებულთა ზამთრის განმავლობაში გამოსაკვებად.

ვლადიმირი. გადასწყვიტეს, რომ 1905 წელს ვლადიმირში ისტორიკოსთა და არქეოლოგოსთა კრება მოახდინონ.

ბირსკი. მდინარეზე თოში გამოჩნდა.

ორიოლი. ბრიანსკის საერობო კრებამ დაადგინა, მაზრაში უმთავრესი თავშესაფარი გავმართოთ.

მოსკოვი. ჩაიკოვსკის გარდაცვალების ათის წლის თავზე ამაღლების ტაძარში წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. სინოდის ხორო მარტო განსვენებულის ნაწარმოებს გალობდა.

ტანჟერი. სულთანმა ევროპიელებს ფეცში შესვლა აუკრძალა. ფეცში შესვლის უფლება მარტო საფრანგეთის კონსულს ექნება.

26 ოქტომბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორი და ხელმწიფე-დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებით ვოლფსგარტენიდან სკერნევიცს წაბრძანდნენ. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ თან გაჰყვა ჰესენის დიდი ჰერცოგი თავისი ქალით—პრინცესა ელისაბედით.

სოფია. მთავრობა კრებას წარუდგენს წინადადებას, რომ ავსტრიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობა ერთის წლით უცვლელად დარჩეს.

დარმშტადტი. ლამსდორფი გუშინ საღამოს აქედან წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 24 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35	
ლონდონისაზე ჩეკები	94,65	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.	
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	458½	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	339	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	286½	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91⅞	„
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	90,¾	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200,½	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში 12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში-

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ხის ნახშირის

საწყობი

იაკობ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—6.—1)

ქართველ-ქალთა საზოგადოების

სამკერვალოში

პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **საღამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

«ივ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	[illegible]
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა, ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან და „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. . პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (0—109)

ტელეფონი № 741 დაარსების მიზანი ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გააიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

Дозв. ценз. Тифлисъ 26 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).